



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი
აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების
შესახებ

ოქმი 16

16 ივლისი 2020 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება -
„საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე
საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ (09-01-08/94 23.06.2020 წელი)

დასახელება

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური
მოძრაობის“ წევრები: ე. ბაგრატიონი,
გია აბულაძე, ა. დიასამიძე, გ. დიასამიძე

ავტორი

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური
მოძრაობა“

ინიციატორი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

23.06.2020 წელი

უმაღლესი საბჭოსთვის
წარდგენის თარიღი

წამყვანი კომიტეტი: 19.09.2020-მდე
სხვა კომიტეტები: 15.09.2020-მდე

კომიტეტის სხდომაზე განხილვის
სავარაუდო თარიღი

სხდომაზე განხილვის სავარაუდო
თარიღი

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:

უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის
განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

წ. კახიძე

დავით გაბაიძე



საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

01/07/2020
N 1097

1097-09-02-11-3-202007011038



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დასკვნა

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე
საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტის თაობაზე

(N09-01-08/94, 23.06.2020 წ. ინიციატორი: უმაღლესი საბჭოს ფრაქცია
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 86-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 112-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი და საქართველოს პარლამენტში წარსადგენი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი.

განხილვის შედეგად, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს წარმოდგენილი დადგენილების პროექტისა და საქართველოს პარლამენტში წარსადგენი საქართველოს კანონის პროექტის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონპროექტს უნდა დაერთოს იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება. მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა, ვინაიდან წარმოდგენილ კანონპროექტს თან არ ერთვის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 112-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტში წარსადგენი კანონპროექტი მზადდება და საქართველოს პარლამენტს წარედგინება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტში წარსადგენ კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება ამავე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც ასახული იქნება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია. მართალია წარმოდგენილ კანონპროექტს თან ერთვის განმარტებითი ბარათი, მაგრამ მასში სრულყოფილად არ არის ასახული „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია, რის გამოც მივიჩნევთ, რომ წარმოდგენილ კანონპროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათი ვერ პასუხობს ხსენებული მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებს.

ამდენად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი კანონის პროექტი არ შეესაბამება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლითა (პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა“ – „ვ“) და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლით (პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ბ“) გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ განსახილველად „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“
ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტს.

გთხოვთ დაიწყოს უმაღლესი საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული კანონპროექტის
განხილვა და მოწონების შემდეგ განხორციელდეს საქართველოს პარლამენტში
საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარდგენა.

უმაღლესი საბჭოს წევრები:

1. ელგუჯა ბაგრატიონი

2. გია აბულაძე

3. ასმათ დიასამიძე

4. გიორგი დიასამიძე



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე
საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. მოწონებული იქნას „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების თანდართული კანონპროექტი და საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარდგენილი იქნას განსახილველად საქართველოს პარლამენტში;

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის


უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

ბათუმი

2020 წლის -----

№ -----



საქართველოს კანონი
„საქართველოს საგადასახადო კოდექსში“
ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ (მიღების თარიღი 24.08.1995წ, **N786-რ ს**, სარეგისტრაციო კოდი 010.010.000.01.001.000.116) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „ზ) ახორციელებს თავის მიერ იმპორტირებული, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 11 000 00, 2403 19 000 00 და 2403 91 000 00 კოდებში მითითებული საქონლის მიწოდებას.“;
2. 184-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „ვ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 და 2403 91 000 00 კოდებში მითითებული საქონლის მიწოდების მომენტი.“
3. 185-ე მუხლის პირველი ნაწილის:
 ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „გ) თამბაქოს ნაწარმისათვის - თამბაქოს ნაწარმის რაოდენობით ან წონით ან/და საცალო სარეალიზაციო ფასის მიხედვით;
 ბ) ამოღებული იქნას „გ¹“ ქვეპუნქტი.
4. 188-ე მუხლის პირველი ნაწილის
 ა) ცხრილის მესამე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა)				
2402 10 000 01	სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით	1 ღერი	1,9	
2402 10 000 02	– – სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	2,2	
2402 20	– სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	1,7	
2403 11 000 00*	ყალიონით მოსაწევი თამბაქო, ამ ჯგუფის სუბპოზიციისთვის 1-ლი შენიშვნის შესაბამისად	1 კგ	60	
2403 19 000 00*	– – დანარჩენი	1 კგ	60	
2403 91 000 00*	ჰომოგენიზებული ან აღდგენილი თამბაქო	1 კგ	60	
2403 99 100 00	– – სადეჭი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქო	1 კგ	60	
2403 99 900 01	– – – – კაფსულები და მსგავსი სახის როდუქტები, თამბაქოს შემცველობით 20 ცალი	20 ცალი	1,7	
2403 99 900 02	– – – – თამბაქოს ნაწარმი, წვის პროცესის გარეშე, აეროზოლის მისაღებად გამოსაყენებელი	20 ღერი	1,7	

Handwritten signature

ბ) შენიშვნის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ ცხრილის მე-3 გრაფაში აღნიშნული, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 11 000 00, 2403 19 000 00 ან 2403 91 000 00 კოდში მითითებული საქონლის მიწოდება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფასებულია 50 ან 100 გრამი ნეტო-მასის პირველად საფუთავებში, გარდა თამბაქოს ნაწარმის დამზადების მიზნით მიწოდების საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევისა. ამ კოდექსის მიზნებისათვის ამ ნაწილით გათვალისწინებული საქონლის პირველად საფუთავებში დაფასობა აქციზური საქონლის წარმოება არ არის.“

5. 192-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) თამბაქოს ნაწარმი.“

ბ) მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 11 000 00, 2403 19 000 00, 2403 91 000 00 და 3824 90 980 01 კოდებში მითითებული საქონლის იმპორტი;“

საქართველოს პრეზიდენტი
თბილისი,
2020 წლის
№

სალომე ზურაბიშვილი

უმაღლესი საბჭოს წევრები:

ელგუჯა ბაგრატიონი

გია აბულაძე

ასმათ დიასამიძე

გიორგი დიასამიძე

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონი
„საქართველოს საგადასახადო კოდექსში“
ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა.) კანონპროექტის მიღების მიზეზები

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე, რომელიც ამოქმედდა 2019 წელს აქციზით იბეგრება თამბაქოს ნედლეული, რამაც რეალურად დააზარალა ადგილობრივი წარმოება და ფერმერები. თამბაქოს წარმოებით დაკავებულია მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც წარმოებული ნედლეულის რეალიზებას ახდენდა ძირითადად ქ. ბათუმსა და რეგიონის ბაზრებსა და ბაზრობებზე. აქციზით დაბეგვრის წესის ამოქმედების შემდეგ ფაქტიურად ვეღარ ახდენენ საქონლის რეალიზებას მაღალი საბაზრო ღირებულების გამო, ხოლო ბაზარი რეალურად ჩაანაცვლა იმპორტირებულმა უხარისხო და უაქციზო თამბაქომ.

თამბაქოს მწარმოებელმა ფერმერებმა არაერთი საპროტესტო აქცია გამართეს და გამოხატეს პროტესტი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების ამოქმედების გამო, რაზედაც ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ისინი მოაგვარებდნენ პრობლემას, თუმცა რეალური ნაბიჯები დღემდე არ გადადგმულა.

პანდემიის შემდეგ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ხელს შეუწყობენ სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამ მიმართულებით ერთერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ქართული თამბაქოს წარმოების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, რისთვისაც საჭიროა მხოლოდ საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა, რაც მოახდენს ფერმერების სტიმულირებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

სოფლის მეურნეობის განვითარება და ფერმერების სტიმულირება, ადგილობრივი წარმოების განვითარება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე, რომელიც ამოქმედდა 2019 წელს აქციზით იბეგრება თამბაქოს ნედლეული, რამაც რეალურად დააზარალა ადგილობრივი წარმოება და ფერმერები. კანონის ამოქმედების შემდეგ რეალურად კანონი ვერ მუშაობს და ბაზარი რეალურად ჩაანაცვლა იმპორტირებულმა უხარისხო და უაქციზო თამბაქომ.

მნიშვნელოვანია დასაქმების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა და სტიმულირება, განსაკუთრებით პანდემიის შემდეგ.

კანონპროექტის ამოქმედების შემთხვევაში გაუქმდება აქციზის გადასახადი თამბაქოს ნედლეულზე, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ფერმერების სტიმულირებას და დასაქმებას ასევე კონტრაბანდული უაქციზო და უხარისხო თამბაქოს რეალიზების აღმოფხვრას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

- კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

- კანონპროექტის მიღების შემთხვევაში შემცირდება აქციზის გადასახადიდან მიღებული შემოსავლები, თუმცა ეს შემცირება იქნება მინიმალური რადგან კანონის ამოქმედების შემდეგ რეალურად კანონს არ უმუშავია ეფექტურად, ამას ემატება ის, რომ კანონის ამოქმედების შემდეგ რეალურად გაიზარდა უაქციზო თამბაქოს გაყიდვები.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

- კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

- კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

- კანონპროექტის მიღება გააუმჯობესებს ადგილობრივი ფერმერების ფინანსურ მდგომარეობას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

- კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

- კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

- კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ განხილული და მოწონებული იქნა კანონპროექტი.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

- კანონპროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები: ელგუჯა ბაგრატიონი, გია აბულაძე, ასმათ დიასამიძე, გიორგი დიასამიძე

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

მოქმედი რედაქცია

მუხლი 182. აქციზის გადამხდელი

1. აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც:

ზ) ახორციელებს თავის მიერ იმპორტირებული, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 და 2403 91 000 00 კოდებში მითითებული საქონლის მიწოდებას.

მუხლი 184. დასაბეგრი ოპერაცია, დასაბეგრი ოპერაციის დრო

1. აქციზით დასაბეგრი ოპერაციები და დასაბეგრი ოპერაციების განხორციელების მომენტი:

ვ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 და 2403 91 000 00 კოდებში მითითებული საქონლის მიწოდების მომენტი.

მუხლი 185. დასაბეგრი ოპერაციის, აქციზური საქონლის იმპორტისა და აქციზური საქონლის ექსპორტის თანხის განსაზღვრა

1. აქციზით დასაბეგრი ოპერაციის, აქციზური საქონლის იმპორტისა და აქციზური საქონლის ექსპორტის თანხა განისაზღვრება:

გ) თამბაქოს ნაწარმისათვის (გარდა ამ ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თამბაქოს ნაწარმისა) – თამბაქოს ნაწარმის რაოდენობით ან წონით ან/და საცალო სარეალიზაციო ფასის მიხედვით;

გ¹) თამბაქოს ნედლეულისათვის, თამბაქოს ნარჩენებისათვის – თამბაქოს ნედლეულის, თამბაქოს ნარჩენების წონით;

მუხლი 188. აქციზის განაკვეთები აქციზურ საქონელზე (გარდა ალკოჰოლიანი სასმელებისა)

1. ამ ნაწილში აღნიშნული აქციზური საქონელი იბეგრება აქციზის შემდეგი განაკვეთებით:

№	კოდი სეს ესნ-ის შესაბამისად	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	აქციზის განაკვეთი (ლარი)
1	(ამოღებულია - 23.12.2017, №1935)			
2	(ამოღებულია - 23.12.2017, №1935)			
თამბაქოს ნაწარმი (მათ შორის , თამბაქოს ნედლეული , თამბაქოს ნარჩენები)				
3	2401*	თამბაქოს ნედლეული, თამბაქოს ნარჩენები	1 კგ	60
	2402 10 000 01	— სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით	1 ღერი	1.9
	2402 10 000 02	— სიგარეტები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	2.2
	2402 20	— სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	1.7
	2403 11 000 00*	— ყალიონით მოსაწევი თამბაქო, ამ ჯგუფის სუბპოზიციისთვის 1-ლი შენიშვნის შესაბამისად	1 კგ	60
	2403 19 000 00*	— დანარჩენი	1 კგ	60
	2403 91 000 00*	— ჰომოგენიზებული ან აღდგენილი თამბაქო	1 კგ	60
	2403 99 100 00	— — — საღებავი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქო	1 კგ	60
	2403 99 900 01	— — — — კაფსულები და მსგავსი სახის პროდუქტები, თამბაქოს შემცველობით	20 ცალი	1.7
	2403 99 900 02	— — — — თამბაქოს ნაწარმი, წვის პროცესის გარეშე, აეროზოლის მისაღებად გამოსაყენებელი	20 ღერი	1.7

შენიშვნა:

1. ამ ცხრილის მე-3 გრაფაში აღნიშნული, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 ან 2403 91 000 00 კოდში მითითებული საქონლის მიწოდება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფასებულია 50 ან 100 გრამი ნეტო-მასის პირველად საფუთავებში, გარდა თამბაქოს ნაწარმის დამზადების მიზნით მიწოდების საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევისა. ამ კოდექსის მიზნებისათვის ამ ნაწილით გათვალისწინებული საქონლის პირველად საფუთავებში დაფასობა აქციზური საქონლის წარმოება არ არის.

მუხლი 192. აქციზური მარკები

1. აქციზით დასაბეგრი ოპერაციის ან/და საქონლის იმპორტის განხორციელებამდე, აგრეთვე ამ კოდექსის 190¹ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ალკოჰოლიანი სასმელის რეალიზაციის შემთხვევისა) საქონლის შემძენი ან/და მიმღები პირისთვის გადაცემამდე აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას ექვემდებარება:

ბ) თამბაქოს ნაწარმი (მათ შორის, თამბაქოს ნედლეული, თამბაქოს ნარჩენები);

2. აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებისაგან, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი შემთხვევებისა, თავისუფლდება:

თ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00, 2403 91 000 00 და 3824 90 980 01 კოდებში მითითებული საქონლის იმპორტი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე, რომელიც ამოქმედდა 2019 წელს აქციზით იბეგრება 1 კბ თამბაქოს ნედლეული 60 ლარით, რამაც რეალურად დააზარალა ადგილობრივი წარმოება და ფერმერები. თამბაქოს წარმოებით დაკავებულია მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც წარმოებული ნედლეულის რეალიზებას ახდენდა ძირითადად ქ. ბათუმსა და რეგიონის ბაზრებსა და ბაზრობებზე. აქციზით დაბეგვრის წესის ამოქმედების შემდეგ ფაქტიურად ვეღარ ვახერხებთ საქონლის რეალიზებას მაღალი საბაზრო ღირებულების გამო, ხოლო ბაზარი რეალურად ჩაანაცვლა იმპორტირებულმა, უხარისხო და უაქციზო თამბაქომ.






ჩვენ არაერთი საპროტესტო აქცია გავმართეთ და მოვითხოვეთ საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა რათა არ დაიბეგროს თამბაქოს ნედლეული, რაზედაც ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მოგვარდებოდა პრობლემა, თუმცა რეალური ნაბიჯები დღემდე არ გადადგმულა.

ჩვენ მხარს ვუჭერთ უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს მიერ მომზადებულ კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს თამბაქოს ნედლეულზე აქციზის გადასახადის გაუქმებას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ფერმერების სტიმულირებას და დასაქმებას ასევე კონტრაბანდული, უაქციზო და უხარისხო თამბაქოს რეალიზების აღმოფხვრას.

გთხოვთ მხარი დაუჭიროთ წარმოდგენილ კანონპროექტს, ასევე მისი განხილვა მოხდეს დაჩქარებულად, შემჭიდროებულ ვადებში.

№	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1	მანუჩი ჯიქია	მ. ჯიქია
2	სოსო ჭავჭავაძე	ს. ჭავჭავაძე
3	ავთანდილ ბერიძე	ავთანდილ ბერიძე
4	გიორგი მუხომბე	გიორგი მუხომბე
5	ლევან პალაძე	ლ. პალაძე
6	ამირან ბერძენიშვილი	ამირან ბერძენიშვილი

№	სახელი, გვარი	ხელმოწერა
	ჯანაძე იმედი	ჯ. იმედი
	ხოსოვ დავითი	ხ. დავითი
	შაბაძე ნიკოლოზი	ნ. შაბაძე
	სურგულაძე დიმიტრი	დ. სურგულაძე
	ხევასიძე ივანე	ი. ხევასიძე
	ახვლედიანი ზვიადი	ზ. ახვლედიანი
	შაველაძე დიმიტრი	დ. შაველაძე
	უბილაძე სერგეი	ს. უბილაძე
	შენიჭიძე სერგეი	ს. შენიჭიძე
	უბილაძე სერგეი	ს. უბილაძე
	ხუბუაძე სერგეი	ს. ხუბუაძე
	თაყაიშვილი დიმიტრი	დ. თაყაიშვილი
	შაველაძე დიმიტრი	დ. შაველაძე
	ახვლედიანი ზვიადი	ზ. ახვლედიანი
	სურგულაძე დიმიტრი	დ. სურგულაძე
	ხევასიძე ივანე	ი. ხევასიძე
	ახვლედიანი ზვიადი	ზ. ახვლედიანი
	შაველაძე დიმიტრი	დ. შაველაძე
	უბილაძე სერგეი	ს. უბილაძე
	შენიჭიძე სერგეი	ს. შენიჭიძე
	უბილაძე სერგეი	ს. უბილაძე
	ხუბუაძე სერგეი	ს. ხუბუაძე
	თაყაიშვილი დიმიტრი	დ. თაყაიშვილი

№	სახელი, გვარი	ხელმოწერა
	სოსტოზი	
	ბოგია	
	ბაქია	
	ბორბა	
	ბეგია	
	ბეგია	
	ბეგია	
	ბეგია	
	ბეგია	
	ბეგია	
	ბეგია	
	ბეგია	
	ბეგია	
	ბეგია	
	ბეგია	
	ბეგია	
	ბეგია	



საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

01/07/2020
N 1097

1097-09-02-11-3-202007011038



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დასკვნა

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე
საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტის თაობაზე

(N09-01-08/94, 23.06.2020 წ. ინიციატორი: უმაღლესი საბჭოს ფრაქცია
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 86-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 112-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი და საქართველოს პარლამენტში წარსადგენი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი.

განხილვის შედეგად, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს წარმოდგენილი დადგენილების პროექტისა და საქართველოს პარლამენტში წარსადგენი საქართველოს კანონის პროექტის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონპროექტს უნდა დაერთოს იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება. მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა, ვინაიდან წარმოდგენილ კანონპროექტს თან არ ერთვის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 112-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტში წარსადგენი კანონპროექტი მზადდება და საქართველოს პარლამენტს წარედგინება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტში წარსადგენ კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება ამავე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც ასახული იქნება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია. მართალია წარმოდგენილ კანონპროექტს თან ერთვის განმარტებითი ბარათი, მაგრამ მასში სრულყოფილად არ არის ასახული „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია, რის გამოც მივიჩნევთ, რომ წარმოდგენილ კანონპროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათი ვერ პასუხობს ხსენებული მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებს.

ამდენად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი კანონის პროექტი არ შეესაბამება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლითა (პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა“ – „ვ“) და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლით (პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ბ“) გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი